



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 82

03 10 2017 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გიულბადის საჯარო სკოლის პედაგოგის
დონარი ნარიმანიძის განცხადების განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 03 ოქტომბრის სხდომის N17 ოქმის მე-4 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წერეთელში მცხოვრები დონარი ნარიმანიძის განცხადების (რეგ. N302/05. 02.10.2017 წ.) გათვალისწინებით.

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურმა გადაურიცხოს ყოველთვიურად მარნეულის მუნიციპალიტეტის გიულბადის საჯარო სკოლის პედაგოგს დონარი ნარიმანიძეს 50 ლარი, მგზავრობის ღირებულების ასანაზღაურებლად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევო